

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის

ადგილობრივი ბიუჯეტის მიზნობრივი პროგრამა

1. პროგრამის (ქვეპროგრამის) სახელწოდება:

„საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამა“

2. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაწყებისა და დამთავრების თარიღი:

1 აპრილი 2019 წ.

31 დეკემბერი 2019 წ.

3. პროგრამის (ქვეპროგრამის) მთლიანი ბიუჯეტი:

50 000 (ორმოცდაათიათასი) ლარი.

4. პროგრამის (ქვეპროგრამის) დაფინანსების წყაროები

შუახვევის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი - 50 000 ლარი.

5. პროგრამის (ქვეპროგრამის) განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური.

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა:

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიაში რეგისტრირებულია მოქალაქეთა მხრიდან შემოტანილი ათეულობით განცხადება, რომლითაც ითხოვენ სიძველის გამო საცხოვრებელი სახლების ამორტიზირებული სახურავების შეცვლით დახმარებას და ახალაშენებულ საცხოვრებელ სახლებისათვის სახურავს. აღნიშნული მოქალაქეების უმრავლესობა იმყოფება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ და არ გააჩნიათ საშუალება, რომ საკუთარი სახსრებით მოახდინონ საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება ან შექმნა. გამომდინარე აქედან, საჭიროა აღნიშნული პროექტის განხორციელება, რათა ეტაპობრივად მოხდეს სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორება. აღნიშნული პროექტის

განხორციელება ხელს შეუწყობს მოსახლეობის სოციალური მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

7. პროგრამის (ქვეპროგრამის) მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

1. პროგრამის ფარგლებში, თუნუქის ფურცლების გაცემა განხორციელდება 150 000 სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახებზე კომისიური წესით საცხოვრებელი სახლის გადახურვის მიზნით. თუნუქის ფურცლების გაცემისას უპირატესობა მიენიჭება სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფ მრავალშვილიან ოჯახებს, ოჯახებს, სადაც ცხოვრობენ შშმ პირები.
2. ბენეფიციარის შერჩევას და თუნუქის ფურცლების გაცემას ახორციელებს შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით შექმნილი კომისია.
3. პროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება შუახვევის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სახურავით უზრუნველყოფა, სოციალური მდგომარეობის და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

№	პროგრამის მიზანი	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები
	შუახვევის მუნიციპალიტეტში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საცხოვრებელი სახლის სახურავით უზრუნველყოფა	მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება

8. პროგრამის (ქვეპროგრამის) სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

№	საქმიანობის აღწერა	
1	თუნუქის ფურცლების შეძენა	X
2	თუნუქის ფურცლების ბენეფიციარებზე მიწოდება მთლიანი ან ნაწილობრივი გადახურვისათვის	აპრილიდან დეკემბრის თვის ჩათვლით

9. პროგრამის ბიუჯეტი:

№	ღონისძიების დასახელება	თანხა (ლარი)	შენიშვნა
1	0.50 მმ თუნუქის ფურცელის შექმნა	50 000	
სულ ჯამი		50 000	

10. პროგრამის (ქვეპროგრამის) ფარგლებში დაგეგმილი სახელმწიფო შესყიდვები:

დაგეგმილია თუნუქის ფურცლების ელექტრონული ტენდერით შესყიდვა.

11. თუნუქის ფურცლების გაცემის წესი:

თუნუქის ფურცლები გაიცემა ინდივიდუალურად, კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.

დამატებითი ინფორმაცია:


მოსარგებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი დოკუმენტაცია:

1. განხცადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;
2. განმცხადებლის პირადობის ქსეროასლი;
3. შუახვევის სოციალური მომსახურების სააგენტოდან ცნობა ოჯახის სარეიტინგო ქულების შესახებ;
4. შესაბამისი კომისიის აქტი ფოტო-მასალასთან ერთად.

პროგრამის (ქვეპროგრამის) შემდეგი ორგანოს ხელმძღვანელი -----

(ხელმოწერა)

გიორგი დავითაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა